

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 7 მარტის სხდომის

ოქმი №23

სენატში სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად შემოიტანა ორი საკითხი, კერძოდ: ზოგიერთი კატეგორიის სტუდენტთათვის 2012-2013 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდის მიმდინარე წლის 1 მაისამდე გადავადების თაობაზე და სტუ-ს 2013 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული საკითხების შესახებ სენატის 27 წევრიდან 26 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილებები:

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი ზოგიერთი კატეგორიის სტუდენტთათვის 2012-2013 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდის მიმდინარე წლის 1 მაისამდე გადავადების თაობაზე.

სენატმა გადაწყვიტა: მიეცეს თანხმობა სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს 2012-2013 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდა გადაუვადოს მიმდინარე წლის 1 მაისამდე იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან, ან არიან დედით ან(და) მამით ობოლნი და იმავდროულად გამოირჩევიან საშუალოზე მაღალი აკადემიური მოსწრებით.

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სტუ-ს 2013 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, კერძოდ: სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 2000

(ორი ათასი) ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში, ასევე, შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს სტუ-ს წაერთ ბიუჯეტში.

2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტის ნორმატიული აქტების საცნობარო და სპეც. ლიტერატურის ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების მუხლიდან 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი და მცირე ფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებიდან 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი, სულ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე